**ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის**
**ოქმი №73**

27 ივნისი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- გიორგი ტყემალაძე, ლევან დავითაშვილი, ავთანდილ ცინცაძე, არჩილ გორდულაძე, აკაკი ალადაშვილი.
**მოწვეული სტუმარი:**
საფინანსო საქალაქო სამსახური -ლევან მიქავა
**სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.**
**კომისიის სხდომა უფლებამოსილია.**
**სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.**
1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ.

**№11-01241772550 საკრ.№15-032417784-03 (25/06/24)**

**ლევან მიქავას მოხსენებით,** პროგრამის „გზების მოვლა შეკეთება ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 09) მე-3 კვარტლის გეგმა იზრდება 150 000 ლარით. თანხის გადმოტანა ხდება მე-4 კვარტლიდან.
მცირდება პროგრამის „კეთილმოწყობის ღონისძიებები გლდანის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 10) 1 057 900 ლარით, თანხა გადადის ამავე პროგრამის მესამე კვრატალში. გამგეობა წერილობით მოთხოვნაში აღნიშნავს, რომ სკვერების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე გამოცხადებული ტენდერი არ შედგა. განმეორებით ტენდერის გამოცხადებას გარკვეული დრო დასჭირდა, შესაბამისად ხელშეკრულებების გაფორმებაც გვიან მოხდა.
მცირდება „სხვა სოციალური (დახმარებების) ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 18 16 ) მე-2 კვარტლის გეგმა 20 000 ლარით და „კულტურის, სპორტული და ახალაგზარდული ღონისძიებები კრწანისის რაიონში“ (პროგ/კოდი 08 11 09) 14300 ლარით.
საერთო ჯამში გადასახდელების მეორე კვარტლის გეგმა მცირდება 1 063 600 ლარით.
დაბალანსება ხდება შემოსავლების მეორე კვარტლის გეგმის 988 300 ლარით შემცირების და ნაშთის ცვლილებით (- 75 300 ლარი)
**მომხრე-6**
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური და ნაძალადევის, გლდანის და მთაწმინდის რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს: “ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

**სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.**

**ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო**
**კომისიის თავმჯდომარე** **ირაკლი ხელაძე**